№ 277

შაბათი, 31 დეკემბერი 1894

1877—18..

# ივერია

№ 277

შაბათი, 31 დეკემბერი 1894

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მირიმანოვისა.

**კვირას, 1 იანვარს, 1895 წ.**

**დაიწყება გამოფენა ჩვენის დროისათვის ბუნების ორის საკვირველებისა.**

ცოცხალნი ბუნებრივად შეხორცებულნი ინდოეთელნი ტყუპნი და ქონდრის კაცები.

**დედამიწის ზურგზედ ამათზედ პაწია ცოლ-ქმარნი არ მოიპოვებიან.**

დაწვრილებით ეს ამბავი აღნიშნულია აფიშებში.

(2—360—2)

**დარია დიმიტრის ასული გძელიევისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მეუღლისა მისისა მომრიგებელ მოსამართლის **იოსებ სიმონის ძე გძელიევისა**, დანიშნულია 31 ამ თვისას, პეტრე პავლეს ეკლესიაში, დილის 10 საათზედ. (2—237—2)

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 2 იანვარს, 1895 წ.

ქართულის თეატრის დაარსების მოსაგონებლად „ქართული წარმოდგენების ამხანაგობ." დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბ. აბაშიძის მონაწილეობით და ქართული ხორის ბ. რატტილის თაოსნობით

I

**ტივით მოგზაურობა**

კომედ. 2 მოქმ. ანტონოვისა

II

**დ ა ვ ა**

კომედ. 1 მოქმ. თ. გ. ერისთავისა

მონაწილეობას ღებულობენ: ჩერქეზიშვილისა, მაქსიმიძისა, გამყრელიძისა, ტარიელოვისა და სხ. ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, გუნია და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** შეგირდებისათვის ადგილები ლოჟების უკან 50 კ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: **მუშაკი და ნებიერი**, დრამა 4 მოქ. და **ვისი ბრალია**, დრ. 3 მოქ.

რეჟისორი ალ. მესხიშვილი — ადმინისტრატორი ვალ. გუნია.

## ახალი ამბავი

—

*** ორშაბათს, 2 იანვარს, საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზედ, დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა, რომელზედაც მოწვეულ არიან ყველა წევრები. კრება გაარჩევს კომისსიის ა. პ. არტემიევის მოხსენებას რუსეთში ბებიაობის საქმის განკარგების შესახებ, ი. ი. მინკევიჩისას: „მცენარეები როგორც სამკურნალო საშუალებანი და როგორც საპატივსაცემო საგნები კავკასიაში". მისივე: „შედარებითი გამოკვლევა კავკასიაში ხმარებულ ქინაქინისა". ნ. პ. ტარატინოვისას: „რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიურისა და სანიტარულის მხრივ კავკასიაში ყირიმის ბრინჯის ხმარებას", ა. მ. შეინ-ფოგელისას „მცენარეულთა ზეთის გამოკვლევისა და ცოტა რამ გასასყიდ ძროხის ერბოს „ქიმიურ ანალიზის" აწინდელის წესის შესახებ".

*** სამშაბათს, სამს იანვარს, აკურთხებენ სასამართლო დაწესებულებათათვის აგებულს ახალს შენობას.

*** რადგან 4 იანვარს ასი წელიწადი სრულდება, რაც რუსეთის მწერალი ა. ს. გრიბოედოვი დაბადებულა, „ქართულ დრამატიულ საზოგადოებას" განზრახვა აქვს ა. ს. გრიბოედოვის სახელის პატივის საცემლად, წარმოადგინოს მისივე კომედია „ვაი ჭკუისაგან". ითამაშებენ განსაკუთრებით სცენის მოყვარენი. ეს წარმოდგენა 12 ანუ 15 იანვარს ადრე ვერ მოესწრობა.

*** ქალაქს სიღნაღში ოთხ-კლასიან საქალებო პროგიმნაზიის დაარსების საქმეს კეთილი ბოლო ეტყობა. ამ პროგიმნაზიის შესანახად, გაზ. „ტფ. ლისტ." სიტყვით, ქალაქი იძლევა 1,600 მან., დანარჩენს საჭირო თანხას-კი 2,400 მან. ხაზინა კისრულობს. პროგიმნაზია გაიხსნება მომავალს წელში მარინეს პროგიმნაზიის სახელით.

*** განზრახვა აქვთ თურმე რკინის გზის ლიანდაგზედ მდებარე ქალაქებში რკინის გზის სადგურები დააარსონ. აზრი ამ სადგურებისა ის იქნება, რომ მოგზაურთა ბარგი რკინის გზის ლიანდაგის სადგურიდგან პირდაპირ ქალაქში იქნება გადატანილი და დანიშნულს ბინაზედ მოტანილი, რაც 50 კაპ. მეტი არ დაჯდება. ამ გვარ სადგურის ტფილისში დაარსება სწორედ დიდი ბედნიერება იქნება ტფილისის ყველა მცხოვრებთა და ვაჭართათვის. („ტფ. ლისტ.")

*** სოფ. ნატოჩაო. (სენაკის მაზრა): დეკემბერი თუმცა-ღა კარგის დარებით დაგვიდგა, მაგრამ, საუბედუროდ, ზენა ქარმა წაიღო ილაჯი. აგერ ორი თვე სრულდება, რაც დღე-გამოშვებით გააქვს ერთი ზუზუნი და უბედურება. არ ვიცით ამ გვარ მშრალს ზამთარს რა შედეგი მოჰყვება. ამიტომაც არის, რომ ჩვენს სოფელში თავი იჩინა კისერამ,—და სხვა-და-სხვა მოარულმა. კისერამ სამი თუ ოთხი იმსხვერპლა კიდეც. აქეთ ქურდობა თან-და-თან ვრცელდება. ამის გამო ხალხი ძალიან დაღონებულია.

*** „რუსკ. მისლ"-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ბიბლიოგრაფიული შენიშვნა Miss Wardrop-ის მიერ ნათარგმნის „ქართული ზღაპრების შესახებ." წერილის ავტორი სხვათა შორის, ამბობს, რომ ინგლისელებმა ამ უკანასკნელს დროს დიდი ყურადღება მიაქციეს ქართულს ლიტერატურას და ისტორიასაო.

*** ოზურგეთი. გურულებს სხვათა შორის ის კარგი თვისებაცა გვქონდა, რომ წვრილმან ქურდობას არ ვეტანებოდით, დღეს-კი ამ სენმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში. ყოველ გვა-

## ფელეტონი

—

**რამდენიმე სიტყვა გურიის სახალხო წიგნთ-საცავის შესახებ.**

აგერ ორი წელიწადი შესრულდება, რაც გურიის სახალხო წიგნთ-საცავი არსებობს ს. აკეთში. უნდა ვსთქვათ, რომ პირველად წიგნთ-საცავის საქმე ჩინებულად მიდიოდა: გულ-შემატკივარნი ბლომად აღმოუჩნდნენ, ერთ-დროებით შემწეობა ბევრმა აღმოუჩინა, ასზედ მეტი მუდმივს შემწეობას დაგვპირდა, თითქმის ყველა ადგილობრივი რედაქცია მუქთად უგზავნიდა თავიანთ გამოცემას, რის გამო სულ ცოტა ხანში წიგნთ-საცავს გაუჩნდა საკუთარი შენობა საჭირო ავეჯეულობით მორთული და ორმოციოდე თუმნის ქართულ-რუსული წიგნები. ყველა ამასთან წიგნთ-საცავის გამგენი ყოველს ღონისძიებას ჰხმარობდნენ წიგნებისათვის ხალხში გზა გაეკვლიათ, მკითხველი მოეპოვებინათ. მაგრამ მალე ჩარხი სხვანაირად დატრიალდა: ხალხის ზოგიერთ კაკარდოსან მზრუნველების წყალობით წიგნთ-საცავის ერთგულთა გუნდი შეთხელდა, ამას გარდა გულ-შემატკივართა რიცხვმა იკლო, მუდმივმა წევრებმა ფულის შემოტანა დააძვირეს, ზოგიერთმა რედაქციამ თავისს გამოცემათა გზავნა შესწყვიტა და წიგნთ-საცავის წარმატება შეფერხდა.

დღეს ამ ნორჩს და ჯერ კიდევ ფეხ-აუდგმელს წიგნთ-საცავს ჰყავს ხუთიოდე გულ-შემატკივარი, ათასი კრიტიკოსი, ორი ათასი ცილის მწამებელი და რამდენიმე კიდევ დღითი დღე მისის სიკვდილის მონატრული სულ-მდაბალი ადამიანი. რა თქმა უნდა ამ ვითარებაში ჩაყენებულის წიგნთ-საცავის წარმატებისათვის ფიქრი მეტი-ღა იქნება. ზოგმა კრიტიკოსმა უკვე გამოსთქვა ბეჭდვით თავისი შეხედულობა, მაგრამ ამათთან პოლემიკურის საუბრის გასამართავად ჩვენ ამ თავად ვერ მოვიცლით და ისევ ვარჩევ, რომ გავუზიარო მკითხველებს თვით დამაარსებელთა აზრი ამის შესახებ და აღვნიშნო ის გზა, რომელსაც ჩვენ დაარსებისათანავე ვადექით და ეხლაც ვადგევართ. ჩვენი გულითადი სურვილი მაშინაც ის იყო და ეხლაც ის არის, რომ მთელის მაზრის შეერთებულის ძალ-ღონით გაიმართოს ერთი მდიდარი წიგნთ-საცავი გურიის შუაგულში და მერე კიდევ ისეთ ადგილას, საიდგანაც წიგნების წაღებ-წამოღება ძნელი არ იყოს მსურველისათვის. ამ წიგნთ-საცავით უნდა ისარგებლონ გურიის ყველა სოფლებმა აგენტების დახმარებით. ეს აგენტები იქმნებიან სოფლის მასწავლებლები, მღვდლები და საზოგადოდ სოფლის ყველა ცოტაოდნად შეგნებულნი კაცნი. ამ გვარი აგენტი მოვა დროგამოშვებით წიგნთ-საცავში, მოიტანს წაკითხულს წიგნებს, რომელიც იმას თავისს ნაცნობებთან, თავისს სოფლის მკითხველებთან ჰქონდა წაღებული, დანაკარგს წიგნებში პასუხს აგებს, ახლებს ირჩევს მკითხველთა რაოდენობის მიხედვით და ისევ თავისის სოფლისაკენ მიეშურება, სადაც მას სიხარულით მიელიან ისინი, ვისაც მან ცოტაოდნად მაინც არის თვალი აუხილა და ლაყბობის ნაცვლად ეს სასარგებლო გასართობი წიგნი შეაყვარა.

ნუ გვავიწყდება, რომ ჩვენში ჯერჯერობით, წიგნებს გარდა, მკითხველიც საყიდლად არის და სანამ ეს ასე იქნება, ამგვარი აგენტები დიდს სარგებლობას მოიტანენ. ესენი აურჩევენ ყველას თავისს შესაფერს წიგნებს, ხან თითონაც წაუკითხავენ, წაკითხულის შესახებ საუბარს გაუმართვენ და კითხვაც მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა ამ საქმეს ფხიზელი ხელმძღვანელი და კანტროლი ეყოლება ხალხში. მკითხველის მოპოვება წიგნების მოპოებაზედ ნაკლები სამსახური არ არის და თუ ამ საქმეში ჩვენი სოფლების საუკეთესო ნაწილი სხვებზედ უფრო ფხიზელი ადამიანები დაზარდებიან, არა თუ სოფლის, ჩვენის ქალაქების წიგნთ-საცავებიც-კი თაგვების სახვრელად და მტვერის ფიანდაზად გაშლილი დარჩება.

არც დიდი გენიოსი არის აგენტად საჭირო და არც მაინცა და მაინც ზეგარდმო მადლით ცხებული ადამიანი. ამგვარი სამსახური ყვე უა ჩვენგანს უბრალო მოკვდავს შეუძლიან. განა ცოტა არის იმისთანა ინტელიგენტი ჩვენში, რომელიც ცხრა ჯერ იმგზავრებს თვეში ამა თუ იმ ქალაქში საქეიფოდ? განა ერთი და ორი მღვდელ-დიაკვანი მიდის ცხრა მთას იქით საწირავის ასაღებად, თუ სადმე ტირილი შეიგულა? რა იქნება, რომ თვეში ერთი მოკლე მგზავრობა თავისის თავის და თავისის მოძმის გონების გასაფხიზლებლად, გონების გასაწმენდად გასწიოს? ამას გარდა, შესაძლებელია ყველა სკოლასთან სოფლის თხოვნით სამკითხველო გაიმართოს და ამ სამკითხველოში საერთო წიგნთ-საცავის ხარჯით დაქირავებულმა წიგნის დამტარებელმა დრო გამოშვებით ჰზიდოს წიგნები. ჩვენის აზრით, წიგნთ-საცავმა არც ერთი ნაწილი საზოგადოებისა არ უნდა დაივიწყოს, ის უნდა ჰკვებავდეს გონებრივად როგორც ხალხს, ისე მის ინტელიგენციას, თორემ თუ მარტო სახალხო წიგნები შეიძინა და ინტელიგენციას გონებითი სიმშილი არგუნა წილად, მაშინ ინტელიგენცია დაქვეითდება და ხალხსაც მეტად ფუქსავატი წინამძღოლი შერჩება ხელში. ამიტომ წიგნთ-საცავი ერთობ მდიდარი უნდა იყოს, რომელშიაც ყოველგვარი ქართულ-რუსული წიგნი უნდა მოიპოვებოდეს და მერმე კიდევ თვითოეულის წიგნის ათი და ასი ცალი. ასეთი ღონიერი წიგნთ-საცავი მთელმა გურიის ძალ-ღონემ უნდა ააგოს, რაც შეუძლებელია ერთისა და ორის სოფლისათვის. ამგვარი წიგნთ-საცა-

რის ქურდობის ჩამოთვლა არ შეიძლება, დავასახელებთ მხოლოდ ერთს: 17 დეკემბერს ერთს მაკვანეთელს გლეხს ხარები მოჰპარეს. დილა ადრიან ხარის პატრონი და რამდენიმე მისი მეზობელი ქალაქ ოზურგეთში ერთს საყასბოში მივიდნენ და დარწმუნდნენ, რომ იქ იყო დაკლული იმის ხარები, მაგრამ ქურდი-კი ვერ აღმოაჩინეს. აი ასეთი მოხერხებულები არიან ჩვენი ყასბები და ხორცს-კი მამასისხლად ჰყიდიან.

*** ს. ოქონა. (გორის მაზრა) დეკემბრის 25-ს, კვირას, საათის პირველს, შუაღამისას, თ. ალექსანდრე ფალავანდიშვილის საბძელს წაუკიდეს ცეცხლი და ძირამდის გადაჰბუგეს. ამ საბძელს, როგორც ეტყობოდა, ნავთი ჰქონდა გადასხმული. პირველად ზევით ჭერში წაეკიდნათ ცეცხლი და ერთბაშათ დაიწვა ისე, რომ ვერა უშველეს-რა. ბოროტ-მომქმედისათვის ჯერაც ვერ მიუგნიათ. კიდევ კარგი, ქარი არა ჰქროდა, თორემ თქვენი მტერი, ახლო მეზობლის საბძლებს და სახლებს დაფერფლავდა. ჩვენსკენ იმისთანა მშვენიერი ამინდებია, რომ დიდი ხანია არ მოვსწრებივართ, რომ ასე მშრალად და თბილად გვევლოს.

## გაჭირვებული

—

ცხოვრებით გაჭირვებული
იგლოვდა თავსა და ბედსა,
იგლოვდა გაუქმებულსა
გულში ღრმად ჩამჯდარ იმედსა;

—

იგლოვდა ქვეყნის სამუსთლეს
მოსთქვამდა წმიდა მცნებასა,
ამბობდა: „ადამის შვილნო,
რათ სცდილობთ ერთ-ურთის ვნებასა“.

—

ამბობდა: „რად არ გვპატრონობ,
ქვეყნის დიადო მთვარეო;
გვაჭვით, გვკდრებთ, ჩაგრულნი,
მოდი შენ დაგვეხმარეო;

—

„ერთი რომ ილხენს სიტკბოთი,
მეორეს სტანჯავს მწარეო,
მოჰკვდე ამა სამრუდეს,
სისწორე დაამყარეო.

—

„კიდით-კიდემდე ქვეყანა
სრულიად მოვიარეო,
ღმერთო, რაც გნახე, ძალაც მისგან
მიხსენ და დამიფარეო!...

—

„[illegible] მიმუხთლა, დამგო[illegible]
[illegible] სასარგებლოდ მახეო...
ბარემ-და გიჟობს დაბრმავდე,
თვალო, რა ესეც ჰნახეო“!...

დ. ნინოწმიდელი

## დაბა-ქალაქებისკენ.

—

არ არის ურიგო ხანდახან ტფილისის გარედ მომხდარ ამბებსაც გადაავლოს კაცმა თვალი და ამით ერთი სურვილი დაიკმაყოფილოს: გაიგოს რას ჰფიქრობს და რას აკეთებს ეგრედ წოდებული პროვინცია.

ამ ჟამად ორი ფაქტი მიჭირავს ხელში. ეს ფაქტები იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ორის მხრით ახასიათებს ქართველს კაცს. ერთშია გამოხატული ისეთი უშიშარი ქართველი, რომლისთვის არავითარი კანონი თითქოს არ არსებობს. ხოლო მეორეში-კი ისეთი მშიშარა არის გამოხატული, რომ უბრალოდ წარმოთქმულ სიტყვებს: საფრთხილოა, ცახცახში მოჰყავს. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ფაქტები ინტერესს მოკლებული იქნებოდა, მარტო კერძო კაცთა დამახასიათებელი რომ ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ აქ მთლად ქართველ საზოგადოების ორი თვისებაა აღნიშნული. დღეს მკითხველს მხოლოდ ერთს გავაცნობთ.

იმერეთის დედა-ქალაქ ქუთაისში აგერ რამდენიმე ხანია, ორი ფრიად სასარგებლო საქმე შემოუღიათ წესად. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ამ ნამდვილს ქართულს ქალაქში ხშირია ხოლმე კარგი საქმეების წესად შემოღება.

შარშან-წინ ქუთათურებმა დააარსეს საუცხოო საზოგადოება ქართული წიგნების გამომცემლებისა. იკრიბებოდა ხოლმე თავისთვის ეს საზოგადოება წყნარად, შეუშფოთებლივ მიჰყავდა თავისი საქმე ხალხისა და ქვეყნის სასარგებლოდ. რაღა თქმა უნდა, რომ ყველა კმაყოფილი უნდა ყოფილიყო ინტელიგენტების ამ გვარის მოქმედებით. რა უნდა ეპოვათ იმათ საქციელში ისეთი რამე, რაც მოსაწონი არ იქნებოდა? ჯერ გარდასწყვეტდენ, რა ხასიათის წიგნი უნდა გამოეცათ, მერე შეჰკრებდნენ მასალას, წააკითხებდნენ ცენზორს, მერმე დაჰბეჭდავდნენ და ყიდვას დაუწყებდნენ. ეს არ უნდა ყოფილიყო მათი საქმე? სწორედ ეგ ყოფილა, მაგრამ... ხომ გაგიგონიათ ას კოკიანი ერთმა თაგვმა წაბიღწაო. აქაც ისე მომხდარა საქმე. საქმე რომ თავისს დონეზედ დაყენებული იყო, და ქუთაისში რომ ამბობენ ხოლმე— საქმე რომ „გაჩისტული“ ეგონა ყველას, ამ დროს გამოვარდება ვიღაც და დაჰკივლებს ამოდენა ხალხს: „ჰარიქა, ეგ საქმე კანონის ძალით აღკრძალულიაო!“ აღკრძალულიო! შიშით შესძახეს თურმე ერთმანერთს სულიერის საზრდოს გამომცემლებმა, არიქა ვუშველოთ ჩვენს თავსო და... სულ ძირამდე დაიშალა თურმე ამის გამო ის კეთილი საქმე.

ამიერიდგან იმერეთში აღარ არსებობს წიგნების გამომცემელი საზოგადოება.

იმავე ქუთაისში შარშან თავად-აზნაურობის სასწავლებლის ერთმა მასწავლებელმა, განათლებულმა ახალგაზდამ, ლექციების კითხვა დაიწყო საქართველოს ისტორიის შესახებ. იკრიბებოდა თურმე თავისს სამშობლო ისტორიის მოყვასთა წრე და მშვიდად, წყნარად ისმენდა ხელოვნურად შემდგარს და კარგის ქართულის ენით გამოსახულს საქართველოს ამბებს. საქმე თურმე მშვენიერად მიდიოდა. ასე რომ ახალგაზდა მასწავლებელის ტფილისში გადმოსვლის შემდეგ არ დასტოვეს ეს საქმე ქუთათურებმა და მეორე კაცის ხელმძღვანელობით განაგრძეს ისე კარგად და კარგის განზრახვით დაწყებული საქმე. მაგრამ... აქაც გამოვარდა ვიღაც და შესძახა თურმე თავისებური: „ეგ საქმე კანონით აღკრძალულიაო!“ ამ სიტყვამ აქაც ჯეროვანი გავლენა იქონიაო, გვატყობინებს კორესპონდენტი, და ეს მეორე კეთილი საქმეც დაიმარხა რაღაცა უცნაურის შიშისა გამო.

ჩვენ წინადვე ვსთქვით, რომ ქუთაისში ხშირია კეთილი საქმეების დაწყება.

მაგრამ, თუ დღეში ორ-ორი საქვეყნო საქმე ასე უბრალოდ დამარხეს—ეჭვი არ არის, რომ საცერში რასაც ჩაასხამენ, შიგ არა დარჩება-რა და „ცუდსა მეთევზეს შერჩება უბრალოდ წყალთა მღვრევანი“. არა, ბ-ნო ქუთათურებო, საქმე მარტო დაფუძნება-კი არ არის, საქმე გატანაა. შიშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს და არ უნდა შეუშინდეს ადამიანი იქ, სადაც კეთილი განზრახვა და თვალ-საჩინო მოქმედება არის!

## კორესპონდენცია

—

**ს. ბარალეთი** (ჯავახეთშია). რა ბევრი შეიძლება გაკეთდეს სოფელში, თუ რომ ორი სამი კაცი გულ-შემატკივარი ჰყავს, ამას ს. ბარალეთი გვიმტკიცებს. ამ სოფელში სულ სამიოთხი კაცი ჰმოქმედობს და ლამის სოფელი ქალაქად გადააქციონ. ჯერ იყო და მშვენიერი მკვიდრი შენობა წამოჰჭიმეს ორ-კლასიან სკოლისთვის, სადაც ეხლა ორასამდე ყმაწვილი სწავლობს; ამ ახლო ხანებში მუქთი წიგნთ-საკითხავი და წიგნთ-საცავი უნდა გამართონ, რადგან გუბერნატორმა უკვე ნება დართო. ახალ წლიდან უნდა გამართონ „ავადმყოფთა საინადრო“ ერთის ექიმით, ბებიით, ორის ფერშლით და შესაფერ აფთიაქით და კიდევ ბევრი რამ კარგი საქმე აქვთ აზრად.

ამ 10 დეკემბერს კიდევ ისეთი ამბავი მოხდა ბარალეთში, რომ კარგა ხანია ჯავახეთი არ მოსწრებია. იმათისავე უნარით ხუთმა სულმა ქურთმა მიიღეს მართლ-მადიდებელის სარწმუნოება. ეს ქურთები ბარე ოცი წელიწადი მეტია ქართველობაში სცხოვრობდნენ ზოგი მწყემსად, ზოგი მოჯამაგირედ. მეტადრე ქალებმა ძალიან მიიღეს ჩვეულება და ზნე ქართველ ქალების ქრისტიანებისა. ქართულმა ენამ, ზნე და ჩვეულებამ იქამდე შეაყვარა ქართველთა სარწმუნოებაც, რომ გულითადი სურვილი განაცხადეს ქრისტიანობის მიღებისა. ამისთანა დროს მფარველი და გამამხნევებელი ძრიელ საჭიროა და კიდეც აღმოჩნდნენ ზემოდ აღნიშნულნი, რომელთაც არ დაზოგეს მეცადინეობა: მთავრობისგან ნება აიღეს, ნათლიები უშოვეს, მონათლეს და დღესაც თითქმის თავისის ხარჯით თავიანთს სახლში ინახავენ, ვიდრე რაიმე საქმეს იშოვნიდნენ, რადგან ამათი ქურთებთა შორის ცხოვრება აღარ შეიძლება.

მოინათლნენ: ერთი 45 წლის დედაკაცი თავისს 11 წლის ქალიშვილით; ერთი 25 წლის ქალი, ერთიც 30 წლის ვაჟკაცი თავისის ორი წლის ქალით.

ნათლიებად იყვნენ ივანე ლაპერაშვილი, არტილერიის კაპიტანი, ბარალეთის მღვდლის მეუღლე, ვლადიმერ წერეთელი, ილია ალხაზიშვილი და ვლადიმერ კონუშევი. ყველაზედ დიდი შრომა რასაკვირველია ბარალეთის მღვდელს მამა გიორგი ჯინჭველაძეს დასჭირდა, რადგან ამდენ ხალხს მომზადება უნდოდა, ვიდრე მათი მონათვლა ეკკლესიის კანონით შესაძლებელი გახდებოდა.

ამ საქმეში მღვდელს ძალიან დაეხმარა თათრული ენის ცოდნა, ურომლისოდაც სრულებით მოუხერხებელი იქნებოდა მათი მომზადება და მონათვლა. მაგალითად, კურთხევანშია დასტამბული შეჩვენება, რომელიც მოსანათლად მომზადებულმა უნდა წარმოსთქვას მონათვლის წინ. ეს შეჩვენება ორ დიდ თაბახს შეიცავს და მის გადმოთარგმნაზე ძრიელ დიდი მეცადინეობა დასჭირდებოდა მამა გიორგის.

ჩემის აზრით ეს «შეჩვენება» უეჭველად უნდა იყვეს უკვე გადათარგმნილი ქართულ ენაზედ და ამისთანა ალაგებში ეკკლესიებში დარიგებული.

---

ვი, იმას გარდა, რომ აგენტების წყალობით ყველა სოფლისათვის ხელმისაწვდენი იქნება, კიდევ იმ სარგებლობას მოიტანს, რომ თავს მოუყრის ეხლანდელს ჩვენს დაქსაქსულს და უღონო ინტელიგენციას, ერთმანერთს დაუახლოვებს, ერთად შრომას, ერთად უღლის წევას შეაჩვევს ცოტა მაინც და ესეც დიდი ღვთის წყალობა იქნება. როცა წიგნთ-საცავი გაღონიერდება, შეგვიძლიან განყოფილება გავმართოთ სხვა და სხვა ადგილებში.

რაც შეეხება დღეს სხვა-და სხვა სოფლებში წვრილ-წვრილი ორ გროშიანი წიგნთ-საცავების მართვას, ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ. გავიხსენოთ რა უღონობას და გულ გრილობას ვიჩენთ სხვა-და-სხვა ფონდების დაარსებაში: ორი-სამი წლის განმავლობაში რამდენიმე თუმანი ძლივს მოგროვებულა. უკეთუ იმ ფონდების ზრდა, რომელშიაც მთელი ქართველობა იღებს მონაწილეობას, ასეთის კუს ნაბიჯით მიდის, რაგვარი წიგნთ საცავი უნდა გაიმართოს ერთმა და ორმა სოფელმა? თხუთმეტის მანეთის წიგნი რომ შეიძინოს, განა ეს წიგნთ-საცავი იქნება? შეეძლება განა ამისთანა წიგნთ-საცავს „ქალ-ვაჟიანის“ და „არსენას“ მეოხებით სოფლის უმეცრებასთან გამკლავება? ამას ის არა სჯობია, რომ სოფელმა საერთო წიგნთ საცავში შეტანილს ათისა გინდ ხუთის თუმნის საშუალებით, ხუთასის თუმნის წიგნი გაიტაროს ხელში წასაკითხავად, თუ-კი კითხვის ხალისი ექნება? ვსთქვათ გამოერია ისეთი სოფელი, რომელმაც რამდენისამე ასი მანეთის წიგნიც-კი შეიძინა. რა გამოვა აქედგან? ის რომ ამ წიგნებს მართლა რომ მტვერის გადამწმენდი კაციც არ ეყოლება და რამდენისამე წლის განმავლობაში ყველას თაგვები გამოხრავს, ხოლო თუ ძლიერ მარჯვე პატრონი დაურჩა და გამოხვრისგან იპატივა, მკითხველს ძნელად თუ გაიჩენს ერთს სოფელში ჯერჯერობით. ყველა ეს წიგნები უსარგებლოდ იქნება ჩამწკრივებული თაროებზე, სწორედ იმ დროს, როცა მეორე სოფელი მის გვერდით უწიგნოდ იქნება. თუ გინდ რომ წიგნთ-საცავიანი სოფელი სხვაზედ წინ წავიდეს, რას ვაქნევთ ერთისა და ორის სოფლის სიფხიზლეს, უკეთუ ასი და ორასი სოფელი მათ გვერდით ბურანში იქნება. ჩვენ იმას უნდა ვსცდილობდეთ ყველას მივაწვდინოთ ცოტა რამ გონების საკვები.

ამას გარდა, ასეთი ორ-გროშიანი წიგნთ-საცავები საძაგელს მდგომარეობაში ამყოფებს თითოეულს ჩვენგანს: წარმოიდგინეთ, რომ გახშირდა იგი. დღეს ერთის სოფლიდგან მოგმართეს შემწეობისათვის, ხვალ მეორედგან, ზეგ მესამედგან. პირველი ორი მოიმადლიერე, სხვებისთვის არა გაბადია-რა. იხედები აქეთ-იქით და ნაყოფს არსადა ჰხედავ. ზოგს მათგანს ჯერ კიდევ დაბადებამდის სული დაულევია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გული გიტყდება და იმასაც ნანობ, რაც გაიღე ამ უნაყოფო საქმეში, თორემ ახალის მსხვერპლის გაღებას გული როგორ გიზამს. საერთო წიგნთ-საცავს-კი, რომელსაც საშუალებაც დიდი ექნება და პატრონებიც საკმაოდ ეყოლება, ძნელად თუ მოუვა ასეთი საქმე.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? უსათუოდ უნდა შევერთდეთ, რაც წვრილ-წვრილი წიგნთ-საცავებია, ყველას ერთად მოვუყაროთ თავი და ერთი მდიდარი წიგნთ-საცავი შევქმნათ მთელის მაზრისათვის, კრიტიკოსობას და ერთმანეთის ცილის-წამებას თავი დავანებოთ, ნუ ვიქსაქსებით, შევეჩვიოთ შეერთებულის ძალით საქმის კეთებას, საერთოდ უღლის წევას, ძმურად გაუმკლავდეთ ჯერ საკუთარს და მერე ჩვენის მოძმის უმეცრებას. დღეს ამ შეერთებულმა ჩვენმა ძალამ წიგნთ-საცავი შექმნას და მას უკან იქნება სხვა რამ ამაზედ უმჯობესიცა ჰშობოს. აქ უეჭველად ჩვენი ახალი მაზრის უფროსი დაგვეხმარება.

რაც შეეხება ადგილს, ამის შესახებ წინადაც ბევრი ლაპარაკი გვქონდა და იმის მოძებნა არც ისე ადვილი დარჩა, როგორც ჩვენს კრიტიკოსებს ჰგონიათ. თითო-ოროლა ნაკლი ყველა ადგილს დაურჩა და ჩვენ გეოგრაფიული ცენტრი მაინც მოვნახეთ. ამ გვარი ცენტრი და სხვაფრივაც მოხერხებული ადგილი ნაგომარი იყო, მაგრამ რადგან აქ ამ ჟამად პატრონი არავინ დაგვირჩა, ისევ იქვე ერთი ვერსის მანძილზედ აკეთში დავაარსეთ. ჩვენ იმის მეტი არა დაგვიშავებია-რა, რომ ამ საქმეს საფუძველი ჩავუყარეთ და დღეს ამ წიგნთ-საცავის გადმოტანას ნაგომარში გინდ სხვა ადგილზედ დიდი ამბავი არ უნდა. საცა-კი ყოვლისფრით უნაკლულო ადგილს დაგვისახელებენ, ჩვენ იქ ვართ, იქ დავეხმარებით შეძლების დაგვარად. იმ კრიტიკოსების საპასუხოდ-კი, რომელნიც ამ საქმეში ქალაქს აძლევენ უპირატესობას, უნდა შევნიშნო, რომ სოფელს, ამ გონებითის ძილის სამთავროს, ქალაქზედ ნაკლები უფლება არა აქვს წიგნთ-საცავის დაარსებისა. პირ-იქით, ასეთი საზრდო პირველად იმას უნდა მივაშველოთ, ვინც უფრო გონებრივად მომშეულია და მერე კიდევ ისე მოშეული, რომ დღითი დღე სულის დალევას ჰლამის. თუმცა ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო ანგარიში დავაგვიანეთ, მაგრამ ეხლა ამ ნაკლსაც შევავსებთ. მე უკვე ვგზავნი იმ ფულების ანგარიშს, რომელმაც ჩემს ხელში გაიარა. დანარჩენის ანგარიშს ამ დღეებში ეხლანდელის წიგნთ-საცავის გამგე გამოაქვეყნებს. დასასრულ ბოდიშს მოვიხდი ამხანაგებთან, რომელთა შეხედულობა იქნება მე სავსებით ვერ გამოვსთქვი, მაგრამ ჩემი წერილით მათ თავიანთ აზრის გამოთქმის უფლება ხომ არ ერთმევათ. იმედია არ დაიყოვნებენ და ამ დროებით შეფერხებულის წიგნთ-საცავის ბედს დროზედ გარდასწყვეტენ. ურიგო არ იქნება, მომავალის უქმეებით ვისარგებლოთ ამისათვის.

არსენ წითლიძე

დასამტკიცებლად ამ ჩემის აზრისა მოვიყვან ცოცხალ მაგალითს:

სამწუხაროდ ბარალეთის მღვდელი აწყურს გადიყვანეს და ნათლობის მესამე დღესვე წავიდა. ახლა ორმა თუ სამმა ქურთმა კიდევ განაცხადა მონათვლის სურვილი და მღვდელი ალარა გვყავს თათრულის ენის მცოდნე, რომ ესენიც მოამზადოს მოსანათლად. მეტადრე საძნელოა იმ შეჩვენების გადათარგმნა, რომელიც მოსანათლად მომზადებულმა უნდა წარმოსთქვას. ძრიელ ბევრს ეხვეწნენ ახალქალაქის მღვდელს მამა ჩიტაძეს, მოგვნათლეო, მაგრამ ამ მღვდელმა შეუძლებლად სცნო ამათი მონათვლა, რადგან თითონ თათრული ენა არ იცის და რომ კიდეც მოამზადებინოს სხვის დახმარებით, იმ შეჩვენების გადათარგმნა აქ ვერავის შეუძლიან. ახლა არ ვიცით როგორ მოვახერხოთ ამათი მონათვლაც.

ილ. ალხაზიშვილი

---

**ცხინვალი.** როგორც თქვენის გაზეთის მკითხველებს მოეხსენება, და. ბა ცხინვალში დავაარსეთ სამკითხველო, რომელსაც მთელი საზოგადოება სიხარულით მიეგება; ყველა თანაუგრძნობდა ამ საქმეს, ყველა შეძლებისდა გვარად აწვდიდა პირველს ხანებში დახმარებას, და მკითხველიც ბევრი აღმოჩნდა. მაგრამ, არ ვიცი, რა მიზეზია, ეხლა-კი თან-და-თან გულგრილად ეკიდება საზოგადოება ამ საკეთილო საქმეს: ჩემის აზრით, აქ ბრმა „მე“-ს ბრალია ყველაფერი: არ შეიძლება, თუ ეს მუდმივი მტერი საზოგადო საქმისა მეცამეტე თვალისაებ არ აგვეკვიატოს.

წარსულის წლის დეკემბერში ბოქაულმა გუგუშვილმა მთელის ცხინვალის შეგნებული საზოგადოება მიიწვია მომრიგებელს სასამართლოში, რომ გადაწყვეტილიყო ის საქმე, თუ როგორ და რა გზით შეიძლებოდა გამოცოცხლება სამკითხველოსი, მისი უკეთესს ნიადაგზედ დაყენება. ამ აზრით საზოგადოებამ სამკითხველოს მზრუნველებად დაასახელა კნ. ეფემია მაჩაბლისა, ვანო ელიოზიძე და მე, რომელთაც დაგვავალა საქმეების წარმოება. პირველს ხანში საქმე კიდევ დაწინაურდა, მაგრამ ზემოხსენებული, „მეობა“ მზრუნველთა შორის რაღაც მაცთუნებელ ეშმაკად გადიქცა. უპირატესობა და სახელ-დიდება ჩვენ მეტს ვის ეკუთვნისო, და ამ „მეობის“ ძებნაში-კი შემომწირველნი წევრნი სრულიად შემოიფანტეს; ეს სწორედ რომ დიდი დანაშაულია საზოგადოების წინაშე და მეტადრე მაშინ, როდესაც ის გენდობა და თავისს სათუთს, საყვარელს საქმეს შენს მზრუნველობას არწმუნებს... დღეს სამკითხველო სწორედ რომ მგლოვიარეა: უცეცხლოდ, უსანთოდ და უპატრონოდაა დატოვებული. მერე, ვისი ბრალია, რა მიზეზია? არ გეგონოთ, რომ სმაკითხველოს არარავითარი შეძლება არ ჰქონდეს. ძველი შემოწირული ფული დღესაც მზრუნველ-შემნახველთა ხელშია, მაგრამ ავიწყდებათ ეს და საქმეს არ ახმარებენ დანიშნულებისამებრ. ამისთვის კარგი იქნებოდა, წარსულის დღიურში ჩაეხედნათ და ამოეკითხათ, რა ჰქონდათ საზოგადოებისაგან დავალებული... თორემ ვშიშობ მკითხველნი არ დაგვიფრთხენ და ამ სამკითხველომაც სული არ დალიოს!..

სამკითხველოს მზრუნველი-წევრი
მღ. ვ. ტერ-აბრამოვი

---

## ა ნ გ ა რ ი შ ი

გურიის სახალხო წიგნთ-საცავისა 1890 წ. სექტემბრის 7 რიცხვიდგან 1893 წლის აგვისტოს 15 რიცხვამდე.

ამ ხნის განმავლობაში წიგნთ-საცავის შემოსავალს შეადგენდა:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბ-ნის ისიდორე რამიშვილის მიერ წარმოდგენილი სხვა და სხვა ქველ-მოქმედთა შემოწირულობა . | 173 | 10 |
| მისგანვე წარმოდგენილი ქ. ბათუმში შეგროვილი შემოწირულობა . . . . . | 44 | „ |
| მისგანვე წარმოდგენილი ქ. ოზურგეთში გამართულის წარმოდგენის შემოსავალი . . . . . . . . . | 40 | 14 |
| ჩემ მიერ მიღებული სხვა და სხვათაგან . . . . . . | 188 | 50 |
| ბ-ნის ნ. ღოღაბერიძის მიერ შემოწირული . . . . | 50 | „ |
| ნაგომარსა, ჩოხატაურსა და აკეთში გამართულის წარმოდგენების შემოსავლის ნაწილი | 39 | „ |
| სულ . . . | 534 | 74 |

ეს ფული სრულად დაიხარჯა ამ სახით:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| შენობაში მიეცათ . . . | 110 | „ |
| სახლის გადაკეთებისა, განჯინებისა და საზოგადოთ საჭირო ავეჯეულობაში . . | 154 | 60 |
| წიგნების საკაზმავ თარაღში | 4 | „ |
| წიგნებში . . . . . . . . | 226 | 70 |
| წიგნების დაკაზმვაში . . | 43 | 45 |
| სულ . . . | 538 | 75 |

როგორც ანგარიშიდგან სჩანს, წიგნთ-საცავს ვალად დარჩა 4 მ. 1 კ. და ეს ვალი შემდეგის შემოსავლით დავფარეთ. როგორც მოგახსენეთ, მე მხოლოდ იმ ფულის ანგარიშს ვწერ, რაც ჩემს ხელში შემოვიდა და თავთავისს დროზე გაზეთში გვქონდა გამოცხადებული ან მე და ან ისიდორე რამიშვილს. დაწვრილებით ანგარიშის შეტყობა ვისაც სურს, წიგნთ-საცავში ნახავს.

წიგნთ-საცავის ერთი დამაარსებელთაგანი
ა. წითლიძე.

---

## რუსეთის ცხოვრება

ქალაქ ტამბოვის ერობის მორიგს კრებაზედ 18 ხმოსანმა შემდეგი წინადადება წარადგინა: „უბრალო, მუშა ხალხის განათლების საჭიროება თან-და-თან ფესვს იდგამს საზოგადოების შეგნებაში და უფრო მეტად ჰგრძნობს ხალხი მისს მოთხოვნილებასო. თუმცა ერობას კანონით მინიჭებული აქვს უფლება სახალხო განათლების საქმეებში ჩარევისა, მისს მეურნეობაში მონაწილეობის მიღებაში, მაგრამ ერობის მიერ ამორჩეულთ წევრთ, სასწავლებლების საბჭოებს, და სკოლის მზრუნველთა სახელით, ეკისრება მას (ერობას) ზნეობითი მოვალეობა, თვალ-ყური ადევნოს, რომ დაარსებულს სკოლებს ნამდვილად შეეძლოს, ხალხს განათლება მიანიჭოს. ამ განათლებას საგნად მარტო წერა-კითხვის სწავლება-კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ გონებითი და ზნეობითი აღზრდა ხალხისაო. მაგრამ რომ ეს განათლება ნამდვილად ნაყოფიერი იყოს, საჭიროა, რომ სკოლა დასრულებულს შეგირდს სკოლაში მიღებულ ზნეობით ღირსების გრძნობის შერჩენა შეეძლოს. ამ აზრის განხორციელების აუცილებელ პირობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მოსწავლე შეგირდები „როზგით“ გალახვისაგან თავისუფალნი იყვნენ,— უფრო-კი იმიტომ, რომ შეგირდები მეტის ხალისით ისწავლიან და უკეთესადაც შეითვისებენ სხ. და სხ. საგნებსა. სიმართლისა და ზნეობითის მოვალეობის პირით მივმართავთ კრებას და ვითხოვთ, იშუამდგომლოდ უმაღლესის მთავრობის წინ, სამუდამოდ გადავარდნილი იყოს გალახვა ყველა იმათი, ვისაც პირველ დაწყებითი სწავლა მიუღია სკოლებშიო“. კრებამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და გადასწყვიტა, მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ვინმე შ-ს გაზ. „გრაჟდანინ“-ში რამდენიმე მოსაზრება მოჰყავს რუსებისა და ინგლისელების დამოკიდებულების შესახებ აზიაში. ბ-ნს შ-ს უხარიან, რომ ამ დამოკიდებულებამ ეხლა კარგი ხასიათი მიიღო. თუმცა-კიო, დასძენს, კარგი იქმნებოდა და სამართალიც მოითხოვდა, რომ სარგებლობა ორივეს ერთგვარად გაენაწილებინათო.

რაღა თქმა უნდა, კარგი იქმნება პამირის საქმე დავაბოლოვოთ ჩვენსა და ინგლისს შორის. მაგრამ თუ საზღვრის გაყვანის დროს პამირზედ ინგლისელების სურვილი აღსრულდა, მაშინ ხომ მარტო ინგლისელებს მიეცემათ იქ უპირატესობაო.

რაიცა შეეხება ავღანისტანიდგან მოსულ ამბებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ემირი მეტად ავად არის და შესაძლოა საქმე გამწვავდესო, აი რასა ჰსწერს ბ. შ.:

რუსეთი ვერ გაზუმდება თუ ინგლისის ჯარი ავღანისტანში შევიდა. ინგლისელება-კი, რაღა თქმა უნდა, ბევრს ეცდებიან საქმე გაიკეთონ და თავისი ინტერესები დაიცვანო.

ინგლისელების დასაუძლურებლად შ-ს საჭიროდ მიაჩნია მთლად პამირის დაჭერა, რომელიც წინად კოკანის ხანის მფლობელობას შეადგენდა.

თუ რუსებმა აქამდის არ დავიჭირეთ ეს ადგილები, ეს მხოლოდ იმიტომა, რომ არ გვინდოდა, იმათი თავ დანებება-კი არ შეიძლებაო.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის გაზეთებში დაბეჭდილია ის სიტყვა, რომელიც გლადსტონმა უთხრა ლონდონსა და პარისში მცხოვრებ სომეხთა დეპუტაციას.

აი ეს სიტყვა:

„მე არაფრით დამიმსახურებია ის მანიფესტაციები, რომელიც ინგლისსა და პარისში მცხოვრებ სომეხთა ახალშენებმა გამიწიეს, რადგანაც არაფერი გამიკეთებია თქვენთვის და არც დახმარება გამიწევია, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ჩვემი გულ გრილობის ბრალი არ არის.

მე ორიოდე სიტყვით განგიმარტავთ. ამ უკანასკნელს დროს ათას გვარი ხმები მოდიოდა საზღვარ-გარეთიდგან და რაც უფრო ხშირად ლაპარაკობდნენ მით უფრო და უფრო ირკვევოდა სიმართლე იმ ამბისა, რომ ოსმალეთში საშინლად ავიწროებენ და სტანჯავენ სომხებსაო. მხოლოდ ამგვარს შემთხვევაში, რასაკვირველია, არ შეიძლება პირველის გატაცებით იმოქმედოს კაცმა. მხოლოდ მე მტკიცედა, მწამდა რომ ამ გვარს საჭირო საქმეში, ყოველი ეროვნება თავისს მთავრობას უნდა დაენდოს, რადგანაც მას სრული უფლება აქვს და ერთად ერთი ორგანოც არის, თავისს ეროვნების მაგიერ იმოქმედოს. შეიძლება შენიშნოს ვინმემ, რომ ერთი ერთ მეორისათვის არაფერი ავტორიტეტიაო, მაგრამ ეს მართალი არ არის. ყოველი ერი და თუ გინდათ თითოეულ კაცი-კი, ავტორიტეტია ყოველის ფერში, რაც-კი პატიოსნებას და სამართლიანობას შეეხება. ეს დედა აზრი საერთოა მთელის კაცობრიობისათვის და ამ უფლების დარღვევა— დრო იქნება, რომ უმშვიდესს ადამიანსაც ამოაღებინებს ხმასა. მაგრამ მეორეს მხრით უნდა ვეცადნეთ ამ გვარს შემთხვევაში, უსამართლოება არავის მივაყენოთ. რამდენადაც შემაძრწუნებელია ამბავი, იმდენად მოვალენი ვართ ავწონ-დავწონოთ ეს ამბავი, დავრწმუნდეთ იმის სინამდვილეში, მოვუცადოთ საქმის გარჩევას და ვეცადოთ, რასაც-კი ვილაპარაკებთ, ჩვენი სიტყვები დამყარებული იყოს უტყუარს ფაქტებზედ. ამ 18 წლის წინად, ბედმა მარგუნა მხურვალე მონაწილეობა მიმეღო იმ საქმეში, რომლებიც ამ გვარსავე შევიწროება-შეწუხებას შეეხებოდა და რომლის შესახებაც ჯერ მარტო ხმები მოდიოდა და ბოლოს-კი მართალიც გამოდგა, მე ვამბობ ბოლგარიაში მომხდარ მხეცობაზედ. გარნა ერთი ნაბიჯიც არ გადამიდგამს, ვიდრე ყველაფერი ნამდვილის წყაროდგან არ შევიტყე და ვიდრე ჯეროვანად არ დავრწმუნდი, რომ ინგლისის ერის თანაგრძნობას რიგიანად ვერ გამოხატავდა მთავრობა, რადგანაც მაშინ სულ სხვა მმართველები იყვნენ. აქედგან შეგიძლიანთ გაიგოთ, რომ ჩემი საქციელი ამ ჟამადაც, არ ეწინააღმდეგება მაშინდელს, და არ ამტკიცებს, ვითომც მოხუცების გამო ჩემში ჩამქრალიყოს ზიზღის გრძნობა ამ გვარ მხეცობის შესახებ. (ტაშის ცემა). მე აქამდის გაჩუმებული ვიყავ, რადგანაც მრწამს, რომ ჩვენი მთავრობა აღასრულებს თავისს მოვალეობასა“.

უჩვენა რა, რომ სომხების საქმეში ინგლისის გარდა, სხვა სახელმწიფოებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობაო, გლადსტონმა იმედიანად სთქვა, რომ იქნება ეს ხმები განდიდებული იყოს. „გარნა თუ მართალია, მაშინ-კი შეურაცხყოფილმა კაცობრიობამ წყევლა კრულვით უნდა მიჰმართოს, ხოლო ხალხს-კი არა, მათ ბოროტ-მოქმედებას, უნდა აღიმაღლოს ხმა, რომ იქნება ამ ხმამ სულთანის ყურებამდის მიაღწიოს და სიბრალული გაუღვიძოს გულში და შეანანოს მას თვისი უგუნური საქციელი. ოსმალეთის ისტორია, ბნელი და მწუხარებით სავსე ისტორიაა! ჩემს სიცოცხლეში ოსმალეთის სამფლობელო თან-და-ათან დაპატარავდა. მიზეზი-კი მხოლოდ ერთია:— ძალდატანება და მტარვალობა. თუ დღეის შემდეგაც გაიმეორა თავისს ბარბაროსობა, მაშინ-კი უნდა დარწმუნდეს მთელი ქვეყანა, რომ ყოფილა იმ გვარი ხალხი, რომელზედაც არავითარი კეთილის შთაგონება და მაგალითი არა ჰმოქმედობს და ცოტად არის მაინც არ ულვიძებს გრძნობას მოვალეობისას, თავაზიანობისას, ჰუმანიურსა და სამართლიანობისას. რაც შეეხება იმ მთავრობას, რომელიც ხელს აფარებს ამ გვარს შეჭირვებას—იგი მუქარა და წყევლაა მთელის განათლებულის კაცობრიობისათვის. ჩემი სიტყვები სასტიკია, მაგრამ იგი სწორედ რომ შეეფერება თვით ფაქტების ხასიათსა“. გლადსტონმა ასე დაათავა თავისი სიტყვა: „მანამ პირში სული მიდგას, ყოველს ჩემს სიტყვას სამართლიანობას მოვახმარებო“.

---

## მცირე შენიშვნა

(ალაგირის ქართველობის შესახებ)

სოფ. ალაგირი (სალიგვერდა) მდებარეობს კავკავიდგან 50—60 ვერსის სიშორეზედ, დასავლეთის მხრივ. ეს სოფელი კარგა მოზრდილი სოფელია. მცხოვრებლები არიან ოსები, რუსები და ქართველები; ქართველების რიცხვი იქნება 80 კომლამდის. იქნება ზოგმა მკითხველმა გაიკვირვოს, თუ იქ ქართველებს რა უნდათო, მაგრამ აქ საკვირველი არაფერი არ არის. აი რატომ: ყველას მოეხსენება, რომ რაჭაში ძალიან სივიწროვეა მიწისა და ამიტომ ზოგიერთი იქაური მკვიდრი იძულებულია თავი დაანებოს თავისს მამა-პაპის სისხლით მორწყულ მიწას და გადასახლდეს სხვა მხარეს. აი სწორედ რაჭველი ქართველები არიან გადმოსახლებულები ალაგირში. აქ ზოგს შეუძენია საკუთარი მიწები, ზოგზსაც იჯარით აუღია აქაურ მემამულეთაგან და მისდევენ ხვნა-თესვას—მეურნეობას.

აქ არ შევეხები მათ ნივთიერ მდგომარეობას, ვინაიდგან ყველა მიხვდება, ვინც-კი იცნობს რაჭველს. მე მსურს მკითხველს გავუზიარო მხოლოდ მათი არა-სასურველი ზნეობრივი და სულიერი მდგომარეობა, რომელიც, უეჭველია, დააფიქრებს ყველა ქართველს, რომელსაც-კი თავი მოაქვს ქართველობით. საქმე ის არის, რომ ალაგირში მცხოვრებნი ქართველები ივიწყებენ მამა-პაპურს ზნე-ჩვეულებას, თავიანთ ქვეყანას; ჰკარგავენ იმ გრძნობას, რომელიც საჭიროა ყველა ერისთვის, თუ რომ ერობა სწადიან; აღარ უღვივით გულში სიყვარული სამშობლოსი და სამშობლო ენისა, რაც, რასაკვირველია, დიდად სამწუხაროა... ამათი ახალი მოზარდი თაობა რჩება სრულიად გაუნათლებელი, რადგანაც არა აქვთ სასწავლებელი, ოჯახებში-კი მშობლებმაც არ იციან და შვილებს აბა რას ასწავლიან?! აი ამისთანა საჭირო საგნებს ყურადღებას არ აქცევენ და სამაგიეროდ ითვისებენ ოსების ზოგიერთ არა კაცურს ჩვეულებას, მაგალ. ქალის მოტაცებით შერთვას და სხ. ერთის სიტყვით, თუ რომ ყურადღება არ მიექცევა და სულ ასე გასტანს მათი ამ ნაირი მდგომარეობა, მაშინ შორს არ იქმნება ის დროც, რომ აქაური ქარველობა სრულიად გადაგვარდეს და მოსწყდეს უმთავრესს ძარღვს ქართველობისას!.. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ არა ჰყავთ რიგიანი გულ-შემატკივარი და ჩამგონებელი. საჭიროა და დიდადაც საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება. ჩემის აზრით, ერთი ჭეშმარიტი მღვდელი, რასაკვირველია, ქართველი, დიდს სარგებლობას მოუტანს თუ-კი ნამდვილ მოძღვრობის როლს მოჰკიდებს ხელს, რომ პოე-

ტის თქმისამებრ „წარუძღვეს წინა ერსა“... ალაგირისთვის ქართულ ს სწავლებლის ფიქრი, რასაკვირველია, მეტი და ულაგო იქნება, რადგანაც თითქმის შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება კავკავის ქართულ სასწავლებელში მიაღებინონ სწავლა თავიანთ შვილებს. ეს მით უფრო ადვილად მოსახერხებელია რომ ალაგირელ ქართველებს ნათესაობა ბევრსა ჰყავთ კავკავში და ამიტომ ბავშვებისათვის ბინა ადვილი ასაჩენია. იმედია, ამ გარემოებას მიაქცევენ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს, და დაიხსნიან ამოდენა ხალხს გადაგვარებისაგან...

ბ. დავითაშვილი

ქ. კავკავი

## ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიმართ.

ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოქმედების“ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ საზოგადოებას ზარალის მეტი არა უნახავს-რა კახეთში გამოგზავნილ წიგნების გასყიდვაში, რომელიც ერთს დაქირავებულს წიგნების დამტარებელს ჰქონდა დავალებული. წიგნების დამტარებელს თვეში 20 მან. და გასყიდულს წიგნების ფასიდგან 10% თურმე ეძლეოდა ds ოთხის თვის განმავლობაში კახეთში 33 მან. წიგნების მეტი არ გაყიდულა, რამაც, ეჭვი არ არის, საზოგადოება აზარალა და, პირ-იქით, იგი იმ ფრიად სამწუხარო დასკვნას დაადგა, რომ კახელებს წიგნის კითხვის სურვილი სრულიად არ ჰქონიათო.

ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია, ვაუწყო ამ საზოგადოებას, რომ ეს დაქირავებული კაცი წიგნებს სრულიადაც არ ატარებდა ხალხში გასასყიდად და თუ იკადრებდა ხოლმე ამას, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე დღეობა იყო, რომ რიგზედ გაეტარებინა დროება. ეჭვი არ არის, საზოგადოება ზარალს არ ჰნახავდა და არც კახეთის ხალხს დაეყვედრებოდა წიგნების კითხვის გულცივობა, რომ ამ წიგნების დამტარებელს რუსულ წიგნების დამტარებელთათვის მიებაძა და საქმის მეტი ერთგულობა გამოეჩინა... *)

ქ. სიღნაღის მცხოვრებელი სერგო თუმანოვი.

## თეატრი და მუსიკა

—

შაბათს, 31 დეკემბერს
ჟირალდონის მე-2 სადებიუტოდ და სალტოს მონაწილეობით

I

იტალიანურს ენაზედ
მიმოსნი („паяцы“)
2 მოქმედ. ოპერა, ლეონკოვალლოსი.

II

პატიოსნება სოფლისა
1 მოქმედ. ოპერა მასკანისა.
დილის წარმოდგენები დაიწყება $12\frac{1}{2}$ საათზედ, სალამოსი-კი 8 საათზედ.

—

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, ტფილისის საოპერო თეატრში, წარმოადგინეს იოანნე ლეიდნელის (Drofetta) მეიერბერის ოპერა. წარმოდგენამ, საზოგადოდ, რიგიანად ჩაიარა. საზოგადოებაც ბევრი იყო. იოანნე ლეიდნელის როლი ბ-ნ სეკარ-როჟანსკიმ რიგიანად აღასრულა, მაგრამ იმისთანა მძლავრს და დრამატიულს როლს, როგორიც არის როლი ლეიდნელისა, ბ-ნი სეკარ-როჟანსკის ხმა არ აკმაყოფილებდა, რადგანაც იმის ხმას არ ეტყობოდა ძლიერება l'estengione della voce, რომელიც საჭიროა ხსენებული როლისათვის. ფიდეს, დედა იოანნესი, ქ-ნს გარრის (mezzo soprano) თუმცა-და სუფთა და წკრიალა ხმა აქვს, მეტადრე მდაბლის და შუათანა რეგისტრში, მაგრამ შესამჩნევი სიმღერა „შვილო ჩემო“ Mon fis—აღსრულა უფერულად და უხელოვნოდ. ბერტა—საცოლო ლეიდნელისა, ქ-ნი ჟიგენი, როგორც ეტყობოდა, ამ სალამოს არ იყო ხმაზედ. გრაფ ობერტალი ბ-ნი ფიურერი—როგორც არტისტი, სწორედ თავისს ადგილზედ იყო და როგორც მომღერალი, გარდაწყვეტით ვერას ვიტყვით, რადგანაც იმის როლი ამ ოპერაში მაინცა და მაინც არ არის თვალ-საჩინო.

მხოლოდ ის-კი შევამჩნიეთ, ხმა მძლავრი აქვს, მაგრამ დაბალ რეგისტრში ცოტა არ იყოს კანკალებს (la voce vibrata). ანაბაპტისტები რიგიანად ასრულებდნენ თავიანთ როლს. ხორო და ორკესტრი უმეტესს ნაწილად მწყობრად სწარმოებდა. ცეკვა (ballabile) და ყინულზედ სრიალი (laslite), თუმცა-და ხატავდა ხალხურს ხასიათს, მაგრამ სიმწყობრე და რიგიანობა არ იყო დაცული.

## წერილები რედაქციის მიმართ

I

თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო შენიშვნა გრიგოლ ტატიშვილის მიერ ამოჭრილი ფოსტის ქაღალდზედ თამარ დედოფლის სურათისა. თუმცა ბევრმა განვიზრახეთ სყიდვა ამ სურათიანის ფოსტის ქაღალდისა, მაგრამ ვერსად ვიშოვეთ. ვთხოვთ ბ-ნს ტატიშვილსაც, გამოაცხადოს, თუ სად შეიძლება იმისი სყიდვა ანუ შოვნა.

ოქროპირე გვენცაძე

II

მე განვიზრახე შემლებისა-და გვარად ავსწერო ზოგიერთი ქართული ძველი ტაძრები, რომელთა წარსულს დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენს სამშობლო ისტორიაში. ამ ჟამად ვწერ ანანურის ტაძრის (მონასტრის) ისტორიულ და არქეოლოგიურ განხილვას, რომლის შესასრულებლად, დაბეჭდილ ღარიბ წყაროების გარდა, საჭიროა ხელნაწერი მასალები, გაფანტული აქა-იქ ძველს ოჯახებში. ამიტომ თქვენის გაზეთის საშუალებით მივმართავ თხოვნით ყველას, ვისაც-კი მოეპოვება წერილობითი იადგრები (დოკუმენტები) ანანურის ტაძრისა და არაგვის ერისთავების გვარეულობის შესახებ (გუჯრები, სიგელები, სათარხნო ქაღალდები და სხვ.), გვთხოვონ, მცირე ხნობით გამოგვიგზავნონ ქ. ტფილისში, რომელისამე ქართულ რედაქციის სახელობაზედ და ან შემდეგის ადრესით: въ г. Тифлисъ. Преподавателю Духовнаго Училища Георгію I—чу Садзагелову (Иверіели). დიდის მადლობით მივიღებ აგრეთვე ყველა ჩვენებას ზემო აღნიშნულ საგნების შესახებ. უმორჩილესად ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, გადაჰბეჭდონ ეს წერილი,

გიორგი სადაგელოვი-იევერიელი

## „ივერიის“ ფოსტა

—

უკანასკნელად ვუცხადებთ ჩვენს კორესპონდენტებს და ვსთხოვთ მარკას ნუ ჰგზავნიან ხოლმე წვრილმან წერილების უკან დასაბრუნებლად. არა ერთხელ და ორჯელ გამოგვიცხადებია, რომ რედაქცია არავითარს მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

# დეპეშა

28 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** „გრაჟდანინი“-ი იუწყება, რომ ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ივაშჩენკოვი სრულიად განკურნებულაო.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პარლამენტმა შეიწყნარა ის პროექტი, რომ სომხების შევიწროების გამო ერზერუმში ამერიკას საელჩო დაარსონ.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ზროკასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურზოვიჩ. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაშეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სალამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხ. სტამბაში.

1895 г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА
„ЮРИДИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
СЪ БЕЗПЛАТНЫМЪ ПРИЛОЖЕНІЕМЪ
„Сборника рѣшеній Уголовнаго и Гражданскаго Кассаціонныхъ Департаме... Общаго Собранія Правительствующаго Сената“ и „Собранія узаконеній и распо... женій Правительства“.

Выходитъ два раза въ недѣлю: по четвергамъ и воскресеньямъ
**безъ предварительной цензуры**
**Годовая подписная цѣна съ доставкою и пересылкою 7 ру...**
Допускается разсрочка въ платежѣ: при подпискѣ—4 руб. и къ 1-му ...рѣля—остальные—3 рубля.
*(С.-Петербургъ, Невскій пр., д. № 59, кв. № 1).*

ПРОГРАММА: Передовыя статьи. - Законодательная хроника въ Р...сіи.—Обзоръ постановленій отечественнаго и иностраннаго законодательст... —Статьи и замѣтки по вопросамъ, возникающимъ въ судебной и адм...стративной практикѣ.—Вѣсти и слухи.—Корреспонденціи изъ Россіи и ...границы. - Выдающіеся процессы и рѣчи.—Фельетонъ.—Движеніе по го...дарственной службѣ (приказы министерствъ).—Дѣйствія правительства (...ранія узак. и распор. прав.).—Рѣшенія Правительств. Сената и цирк...ры подлежащихъ министерствъ.—Списки дѣлъ, назначенныхъ къ слуша... въ Департаментахъ и общихъ собраніяхъ Правительствующаго Сената... Списки лицъ, состоящихъ подъ опекою, признанныхъ несостоятельн... возстановленныхъ въ правоспособности, а также объявленія объ ун...женныхъ довѣренностяхъ (Сенатскія объявленія).—Обзоръ юридически... журналовъ.—Новыя книги и отзывы о нихъ (библіографія).—Объявлені...

Вмѣстѣ съ этимъ, подписчики, внесшіе полную годовую плату за га...ту, могутъ обращаться въ контору редакціи «Юридической Газеты» за спр...ками по дѣламъ, какъ судебнымъ, такъ и административнымъ, и за раз...шеніемъ юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся ихъ имуществ...ныхъ или личныхъ интересовъ. Порученія эти контора редакціи прини...етъ на себя при соблюденіи слѣдующихъ условій:

§ 1. Сообщеніе справокъ о резолюціяхъ Кассаціонныхъ Департам...товъ и Общаго Собранія Правительств. Сената производится въ „Юриди...ской Газетѣ“ въ отдѣлѣ „почтоваго ящика“ и притомъ не болѣе 3-хъ р... въ теченіе года. Лица или учрежденія, желающія получать по дѣла... Кассаціонныхъ Департаментовъ Сената справки по почтѣ, прила...ютъ два рубля за каждую справку по каждому отдѣлному дѣлу, а жела...щія получить ее по телеграфу, прилагаютъ кромѣ того и стоимость ...вѣтной телеграммы. Наблюденіе за ходомъ дѣла, какъ составляющаго пр...метъ особаго порученія болѣе или менѣе продолжительнаго, производи... на условіяхъ особаго соглашенія съ конторою редакціи.

§ 2. Всѣ другія справки и порученія по всѣмъ вообще правительств...нымъ, административнымъ и судебнымъ (центральнымъ и мѣстнымъ), ...щественнымъ, сословнымъ и частнымъ учрежденіямъ производятся не и...че, какъ на условіяхъ предварительнаго соглашенія съ конторою редак...

§ 3. Разрѣшеніе юридическихъ вопросовъ по дѣламъ, касающимся и...щественныхъ и личныхъ интересовъ, сообщеніе совѣтовъ и т. п. произ...дится письменно по почтѣ, на условіяхъ особаго предварительнаго ...шенія съ конторою редакціи.

§ 4. Лица и учрежденія, обращающіяся къ намъ за справками, об...ны сообщить: а) бандероль, за которою получаютъ „Юридическую Газе...б) когда и кѣмъ поданы прошеніе или жалоба; в) на рѣшеніе какого пр...сутственнаго мѣста или должностнаго лица, и г) когда и какимъ прис...ственнымъ мѣстомъ или должностнымъ лицомъ прошеніе или жалоба ...правлены въ Сенатъ или другое правительственное учрежденіе.

§ 5. Контора редакцій „Юридической Газеты“ также принимаетъ ...себя и указаніе повѣренныхъ для веденія дѣлъ.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი
„კვალი“
გამოვა 1895 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდ...

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი ... სახე გაზეთისა, ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურგიდან მრავალი ს... კეთესი ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთი, ხოლო გაგზავ... 8 მანეთ. ნახევარის წლის გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ. გაგზავნით 4 ... სამი თვისა გაუგზავნელად 2 მანეთ, გაგზავნით 3 მანეთი. თითო ნომ... აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათ მოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო „სამკ... ხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში. და თვით „კ...ლის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Алтилер. ул. д. Тамамшева, воз... кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: კირ. ბეჟან. ლორთქიფანიძეს და ვ. ბეჟანეიშვილისა და ძმათ წერეთლე... წიგნის მაღაზიებში:—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგ...ტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—თიანეთში: ივ. თ. ჩიბალ...შვილს.—გორში: ზაქარია დავიდოვთან და ეკ. ფურცელაძესთან—ჭიათურა... თედორე კაკვაძესთან,—ყვირილაში: თ. ხუსკივაძესთან,—ახალსენაკში და ოზუ...გეთში: კ. თავართქილაძესთან.—ხონსტაურში: მიხ. ჯიბლაძის წიგნის მაღ...ზიაში.—სამხვრეში: ყარამან ჩხეიძესთან,—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

ვინც „ჯეჯილსა“ და „კვალს“ ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურა ... ღირება გაუგზავნელათ 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და სხვა ენაზე

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა


---

*) ამ გვარისავე შინაარსის წერილი მოგვივიდა ბ-ნ იროდიონ ხოსიტაშვილისაგან, რაც უფრო მეტად ასაბუთებს ამა წერილში აღნიშნულს გარემოებას. ორივე წერილის ერთშინაარსიანობის გამო, მეორე წერილს არა ვბეჭდავთ.

რედ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Декабря 1894 г.    სტამბა ა. შარაძის და ამხანაგობისა    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.